



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მასპინძლობის მენეჯმენტის ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა

შპს კავკასიის უნივერსიტეტი
ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	1. შპს კავკასიის უნივერსიტეტი 2. ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტი (აშშ)
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	შპს კავკასიის უნივერსიტეტი - 205050567
დაწესებულების სახე	1. შპს კავკასიის უნივერსიტეტი - უნივერსიტეტი 2. ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტი - უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მასპინძლობის მენეჯმენტი (ერთობლივი) Hospitality Management (Joint)
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	1. შპს კავკასიის უნივერსიტეტი - ტურიზმის ბაკალავრი / Bachelor of Tourism 2. ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტი -რიზმიტარული მეცნიერებების ბაკალავრი მასპინძლობასა და ინოვაციურ და მაღალხარისხიან ტურიზმში / Bachelor of Arts in Hospitality & Tourism Innovation and Excellence
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	200
პროგრამის სტატუსი	ახალი

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

(ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	
---	--

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ჯეფრი კარმენ ლოლი პროფესორი: ვიდენერის უნივერსიტეტი ჩესტერი, პენსილვანია, აშშ
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბ ხოხობაია ასისტენტ პროფესორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე ასოცირებული პროფესორი, კანცელარიისა და ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლეილა ახმეტელაშვილი ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი ლოპოტას სპა კურორტი კახეთი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ დენოსაშვილი ბაკალავრიატის სტუდენტი აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქუთაისი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**
წარმოდგენილი ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა ტურიზმსა და მასპინძლობის მართვაში შედგება სამი წლის სწავლისგან და მოიცავს მინიმუმ 200 ევროპულ კრედიტს (ECTS). სწავლის დამთავრების შემდეგ სტუდენტებს მიენიჭებათ თბილისში, საქართველოში არსებული კავკასიის უნივერსიტეტის (CU) და ნიუ-ჯერსიში, აშშ-ში არსებული ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის (FDU) ერთობლივი დიპლომი. სასწავლო წელი შედგება ორი სემესტრისაგან და 200 ECTS კრედიტი

ნაწილდება 6 სემესტრზე. ყოველი სემესტრი შედგება 35 ECTS კრედიტისგან, გარდა მეექვსე სემესტრისა, რომელშიც 25 ECTS კრედიტია. კავკასიის უნივერსიტეტში პროგრამის პირველი ხუთი სემესტრიდან თითოეულის განმავლობაში, სტუდენტები გაივლიან ერთ კურსს ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტიდან, რომელსაც FDU-ს ინსტრუქტორები ჩაატარებენ კავკასიის უნივერსიტეტის კამპუსში. კავკასიის უნივერსიტეტში პირველი 5 სემესტრის დასრულებისა და 175 ECTS-ის (150 ECTS კრედიტი შემოთავაზებულია CU-ს მიერ, 25 ECTS კრედიტი კი - FDU-ის მიერ) მიღების შემდეგ, სტუდენტები ვალდებული არიან გაიარონ ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული 25 ECTS-იანი კურსი მე-6 სემესტრის განმავლობაში.

პროგრამის სტრუქტურა შემდეგი სახისაა: ზოგადი (არაპროფესიული) სწავლებისთვის განსაზღვრულ სავალდებულო კომპონენტს ენიჭება 55 ECTS კრედიტი, სადაც 20 ECTS კრედიტი გამოყოფილია უცხო ენებზე (3 ენაზე). პროფესიული საგნებისთვის განსაზღვრულ სავალდებულო კომპონენტს ენიჭება 140 ECTS კრედიტი. სავალდებულო არჩევით კურსს ენიჭება 5 ECTS კრედიტი, რომელიც სტუდენტს შეუძლია აირჩიოს შემოთავაზებული 15 ECTS კრედიტიდან. 1 ECTS კრედიტი შეადგენს 25 საათს, რომელიც მოიცავს საკონტაქტო საათებს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკა და სხვა), გარდა ამისა, დამოუკიდებელ მუშაობას და კონსულტაციების დროს.

კავკასიის უნივერსიტეტიდან გაიცემა ტურიზმის ბაკალავრის ხარისხი, ხოლო ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტიდან - ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი მასპინძლობასა და ინოვაციურ და მაღალხარისხიან ტურიზმში. ამ ერთობლივი ხარისხის მიზანია სტუდენტებს მისცეს ფართო ცოდნა, უნარები და შესაძლებლობები (KSA's) ტურიზმის ინდუსტრიაში წარმატებული კარიერისთვის.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

დაწესებულებაში სააკრედიტაციო ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრს მიეწოდა 32 გვერდიანი თვითშეფასების ანგარიში, პროგრამის დეტალურ სპეციფიკაციასთან ერთად, ასევე დამხმარე დოკუმენტაცია, როგორცაა პროგრამის კურსების დეტალური სილაბუსები, ინფორმაცია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ, პროგრამის პერსონალის CV-ები და ა.შ.

ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა დაწესებულებაში ვიზიტი კავკასიის უნივერსიტეტისა და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან ერთად 2022 წლის 28 თებერვალს და 1 მარტს, ვინაიდან პანდემია არ იძლეოდა კავკასიის უნივერსიტეტში გამგზავრების საშუალებას. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ერთობლივ ადმინისტრაციულ პერსონალს, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პარალელური პროგრამების სტუდენტებს თითოეულ დაწესებულებაში, დამსაქმებელთა წარმომადგენლებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. ჯგუფმა ასევე მიიღო საინფორმაციო რესურსების ვირტუალური ტური და შეხვდა თითოეული შესაბამისი დაწესებულების ბიბლიოთეკარებს. ყველა დაინტერესებული მხარე ჩართული იყო ინფორმაციის მოწოდებაში, ისინი იყვნენ ძალიან თანამშრომლობითი და კოლეგიალური. დაწესებულებაში ვირტუალური ვიზიტის დასასრულს, ჯგუფი შეხვდა პროგრამის ხელმძღვანელებს, რათა წარმოედგინათ წინასწარი დასკვნები. ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის ყველას თანამშრომლობისა და ნაყოფიერ დისკუსიებში მონაწილეობისათვის დაწესებულებაში ვიზიტის დროს.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1:

- კომპონენტი 1.1 და 1.2 - შეესაბამება მოთხოვნებს

სტანდარტი 2:

- კომპონენტი 2.1 - შეესაბამება მოთხოვნებს
- კომპონენტი 2.1 - ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს
- კომპონენტი 2.3 - მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს
- კომპონენტი 2.4 – 2.6 - შეესაბამება მოთხოვნებს

სტანდარტი 3:

- კომპონენტი 3.1 - შეესაბამება მოთხოვნებს
- კომპონენტი 3.2 - არ არის მითითებული

სტანდარტი 4:

- კომპონენტი 4.1 – 4.4 - შეესაბამება მოთხოვნებს

სტანდარტი 5:

- კომპონენტი 5.1 – 5.3 - შეესაბამება მოთხოვნებს

▪ რეკომენდაციები

ქვესტანდარტი 2.2:

- განახლდეს სასწავლო პროგრამაში კონკრეტული კურსების (როგორცაა შესავალი ტურიზმის მენეჯმენტში, ტურიზმის მარკეტინგი და საერთაშორისო ბაზრები) წინაპირობები;
- ამ კურსების (კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები, განთავსების ოპერაციები და შემოსავლების მენეჯმენტი, ფინანსური აღრიცხვა) სირთულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს კურსების თანმიმდევრობის გადახედვას და სასწავლო პროგრამაში უფრო მოწესრიგებულად განაწილებას.
- სადაც ეს შესაძლებელია, რეკომენდებულია ხელახალი შეფასება იმ კურსების გამარტივებისთვის ან გაერთიანებისთვის, რომლებშიც მნიშვნელოვანი შინაარსის გადაფარვებია, მაგალითად, კურსებში - შესავალი ტურიზმში და შესავალი ტურიზმის მენეჯმენტში. სასწავლო გეგმაში, ტურიზმის ძირითად სფეროში ECTS კრედიტების რაოდენობის შემცირებით, პროგრამაში შეიძლება დაემატოს ტურიზმის მეტი არჩევითი კურსი, რომლებიც ფოკუსირებული იქნება ინდუსტრიის ისეთ სფეროებზე, როგორცაა აგროტურიზმი ან სპორტული ტურიზმი. სტუდენტებისთვის მეტი არჩევანი ხელს შეუწყობს მათი უნარების განვითარებას პრაქტიკული და თეორიული პერსპექტივიდან, რაც თავის მხრივ გააძლიერებს სტუდენტების კონკურენტუნარიანობას შრომის ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე.
- საჭიროა დამსაქმებლების მეტი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში.

ქვესტანდარტი 2.3:

- სავალდებულო კომპონენტი, პრაქტიკა სასტუმროში, უნდა განახლდეს, რათა მოიცავდეს ტურიზმის სექტორის ორგანიზაციების ფართო სპექტრს. ეს უნდა მოიცავდეს როგორც კურსის სათაურის ცვლილებას, ასევე ECTS კრედიტების ზრდას.
- განახლდეს პროგრამის სავალდებულო ლიტერატურა და უზრუნველყოფილ იქნეს, რომ გამოყენებული იქნება წიგნების ახალი გამოცემები და ინფორმაცია, რათა სტუდენტებმა მიიღონ უახლესი მასალები და ეფექტურად მიაღწიონ პროგრამის სწავლის შედეგებს.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ქვესტანდარტი 2.2:

- პროგრამის ხელმძღვანელები უფრო ხშირად უნდა ხვდებოდნენ ინდუსტრიის წარმომადგენლებს როგორც აშშ-ში, ასევე საქართველოში, რათა მიიღონ უკუკავშირი სტუდენტებისთვის შესაფერისი სტაჟირების ტიპებზე. ეს სტაჟირება სტუდენტებს ხელს შეუწყობს კლასში ნასწავლი თეორიის გამოყენებაში და ერთობლივი ხარისხისთვის საჭირო პრაქტიკული საათების რაოდენობის განსაზღვრაში.

ქვესტანდარტი 2.3:

- მიზანშეწონილია შემცირდეს ECTS კრედიტების რაოდენობა კურსებში „აკადემიური წერა 1“ და „აკადემიური წერა 2“, რათა ადგილი დარჩეს ტურიზმთან დაკავშირებული დამატებითი კურსებისთვის ან პრაქტიკული კომპონენტებისთვის.

ქვესტანდარტი 2.4:

- გაგრძელდეს და გაძლიერდეს ძალისხმევა ინდუსტრიის წარმომადგენლებთან და ტურიზმთან დაკავშირებულ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კავშირის განვითარებისთვის.

ქვესტანდარტი 2.6:

- პროგრამის მომავალი განვითარებისთვის რეკომენდებულია, რომ მეტი სილაბუსი შეიცავდეს აკადემიურ კალენდარს დაგეგმილი აქტივობებით და დავალებების შესრულების ვადებით. სტუდენტებს გაუადვილდებათ დავალებების დროულად შესრულება. ეს სტუდენტებს უკეთეს წარმოდგენას შეუქმნის იმის შესახებ, თუ რა არის საჭირო წარმატების მისაღწევად.
- საჭიროა სილაბუსების განხილვა. შუალედური და დასკვნითი გამოცდების შესაბამისი ქულების დაგროვების წინაპირობები ზოგიერთ კურსზე განსხვავებულია (აკადემიური წერა-1; აკადემიური წერა-2).

ქვესტანდარტი 3.1:

- მართალია, სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებს და მხარდაჭერას, თუმცა პროგრამის სამომავლო განვითარების მიზნით, ერთობლივი პროგრამისთვის სასურველია დაინიშნოს მენეჯერი, ასისტენტი ან სტუდენტი ოფიცერი.

- გამგზავრებამდე, სტუდენტებისთვის საჭიროა დამატებითი კონსულტაცია და მხარდაჭერა იმ სემესტრთან დაკავშირებით, რომელიც უნდა ისწავლონ ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტს კამპუსში.
- დახმარება გაეწიოს სტუდენტებს ვიზის ან სასწავლო ნებართვის მოპოვებაში, რათა ჩავიდნენ და ისწავლონ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე აშშ-ში სამოგზაუროდ და სასწავლებლად საჭირო სხვა დოკუმენტების მიღებაში.

ქვესტანდარტი 4.2:

- მომგებიანი იქნება, თუკი უზრუნველყოფილი იქნება აკადემიური პერსონალის მობილობა ორივე უნივერსიტეტს შორის, ჭეშმარიტი ორმხრივობის უზრუნველყოფის მიზნით.

ქვესტანდარტი 5.1:

- ორივე დაწესებულებისთვის ხელსაყრელი იქნება, თუ იფიქრებენ შეფასებისა და ადმინისტრირების ცენტრალიზებულ სისტემაზე, შეიმუშავენ ელექტრონულ პლატფორმას საერთო ხარისხის უზრუნველყოფის შეფასებისა და მონიტორინგისთვის.

ქვესტანდარტი 5.3:

- ორივე დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ოფიციალური და/ან არაფორმალური შეხვედრების ორგანიზება, გამოცდილების, უნარებისა და ცოდნის გაზიარების მიზნით პლატფორმის შესაქმნელად, ხელს შეუწყობდა პროგრამის შემდგომ განვითარებას.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ექსპერტთა ჯგუფის პასუხი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის შესახებ:

რეკომენდაცია: სადაც ეს შესაძლებელია, რეკომენდებულია ხელახალი შეფასება იმ კურსების გამარტივებისთვის ან გაერთიანებისთვის, რომლებშიც მნიშვნელოვანი შინაარსის გადაფარვებია, მაგალითად, კურსებში - შესავალი ტურიზმში და შესავალი ტურიზმის მენეჯმენტში. სასწავლო გეგმაში, ტურიზმის ძირითად სფეროში ECTS კრედიტების რაოდენობის შემცირებით, პროგრამაში შეიძლება დაემატოს ტურიზმის მეტი არჩევითი კურსი, რომლებიც ფოკუსირებული იქნება ინდუსტრიის ისეთ სფეროებზე, როგორცაა აგროტურიზმი ან სპორტული ტურიზმი. სტუდენტებისთვის მეტი არჩევანი ხელს შეუწყობს მათი უნარების განვითარებას პრაქტიკული და თეორიული პერსპექტივიდან, რაც თავის მხრივ გააძლიერებს სტუდენტების კონკურენტუნარიანობას შრომის ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი: აღნიშნული რეკომენდაცია რჩება ძალაში. მოცემული სასწავლო გეგმის/კურიკულუმის სტრუქტურაში სტაჟირებას ეთმობა მხოლოდ 5 ECTS კრედიტი, ხოლო არჩევით კურსს ასევე 5 ECTS კრედიტი. დამსაქმებლებისა და სხვა ძირითადი

დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული გამოხმაურების საფუძველზე ირკვევა, რომ საჭიროა სტაჟირებისთვის განისაზღვროს უფრო მეტი ECTS კრედიტი. გარდა ამისა, სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, შეისწავლონ უფრო მეტი, ტურიზმის ინდუსტრიაზე ორიენტირებული სფეროები არჩევითი სასწავლო კურსების მეშვეობით, რაც მხოლოდ ერთი კურსით არ არის შესაძლებელი. გარდა ამისა, ასეთი საჭიროება გამოიკვეთა დამსაქმებლებთან ინტერვიუების დროსაც. ასევე, პროგრამაზე წარმოდგენილი თვითმფასების ანგარიშის დოკუმენტის მე-10 გვერდზე, აღნიშნული მოცემულია როგორც გასაუმჯობესებელი მხარე.

რეკომენდაცია: გაგრძელდეს და გაძლიერდეს ძალისხმევა ინდუსტრიის წარმომადგენლებთან და ტურიზმთან დაკავშირებულ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კავშირის განვითარებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი: აღნიშნული რეკომენდაცია რჩება ძალაში, რის შესახებაც ექსპერტთა ჯგუფმა გადაწყვეტილება მიიღო აკრედიტაციის ვიზიტის დროს დამსაქმებელთა მხრიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, რეკომენდებულია, რომ პროგრამაში არსებობდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა დამსაქმებელთა ჩართულობას პროგრამის მუდმივი განახლებისა და ცვლილების პროცესში.

რეკომენდაცია: განახლდეს პროგრამის სავალდებულო ლიტერატურა და უზრუნველყოფილ იქნეს, რომ გამოყენებული იქნება წიგნების ახალი გამოცემები და ინფორმაცია, რათა სტუდენტებმა მიიღონ უახლესი მასალები და ეფექტურად მიაღწიონ პროგრამის სწავლის შედეგებს.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი: აღნიშნული რეკომენდაცია რჩება ძალაში. ექსპერტთა ჯგუფი არ განსაზღვრავს კურსებისთვის კონკრეტულ მასალას, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ტურიზმის ინდუსტრია მუდმივად ვითარდება და იცვლება, პროგრამაში გამოყენებული უნდა იყოს თანამედროვე ლიტერატურა, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებისთვის უახლესი და რელევანტური ინფორმაციის მიწოდებას.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განხილული პროგრამა გულისხმობს ახალ, ერთობლივ ბაკალავრის ხარისხს, რომელიც გაიცემა ტურიზმის მიმართულებით კავკასიის უნივერსიტეტში (შემდგომში CU) თბილისში, საქართველოში და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტში (შემდგომში FDU) თინეკში, ნიუ-ჯერსიში, აშშ-ში. კავკასიის უნივერსიტეტიდან გაიცემა ტურიზმის ბაკალავრის ხარისხი, ხოლო ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტიდან - ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი მასპინძლობასა და ინოვაციურ და მაღალხარისხიან ტურიზმში. ამ ერთობლივი ხარისხის მიზანია სტუდენტებს მისცეს ფართო ცოდნა, უნარები და შესაძლებლობები (KSA's) ტურიზმის ინდუსტრიაში წარმატებული კარიერისთვის.

სამწლიანი საბაკალავრო პროგრამის მიზნებია:

1. შეიმუშავოს კრიტიკული გაგება ტურიზმისა და მასპინძლობის ფართო ინდუსტრიაში სათანადო მუშაობის პრინციპებისა და მეთოდების შესახებ.
2. კურსდამთავრებულებს მისცეს ტურიზმისა და მასპინძლობის ორგანიზაციების ოპერაციებისა და სტრატეგიების მართვის უნარი
3. კურსდამთავრებულებს მისცეს საჭირო უნარები ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის გლობალური სირთულის კვლევისა და ანალიზისთვის.
4. გამოუმუშავოს მათ პასუხისმგებლობის გრძნობა და წახალისოს, რომ დაიცვან ეთიკური ნორმები თავიანთ საქმიანობაში

მრავალი შიდა და გარე დაინტერესებული მხარე ორივე უნივერსიტეტის ყველა ძირითადი სფეროდან ერთად მუშაობდა ამ ერთობლივი პროგრამის შემუშავებაზე. პროგრამის არსი სტუდენტებს საშუალებას მისცემს დასაქმდნენ საერთაშორისო ტურისტული ინდუსტრიის სხვადასხვა სექტორში, ასევე ჩაატარონ ინდუსტრიის კვლევა და ანალიზი, გააძლიერონ სამოქალაქო და საზოგადოების პასუხისმგებლობა და ღირებულებები. როგორც ჩანს, მიზნები მხარს უჭერს მისიებს ორივე უნივერსიტეტში, რომლებიც სთავაზობს ამ ერთობლივ ხარისხს.

კავკასიის უნივერსიტეტის მისია: კავკასიის უნივერსიტეტის მისიაა კვლევებზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის მისია: ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტი არის აკადემიური ხარისხის ცენტრი, რომლის მიზანია არის მსოფლიო მოქალაქეების მომზადება გლობალური განათლების გზით. უნივერსიტეტი ცდილობს სტუდენტებს მიაწოდოს მულტიდისციპლინური, ინტერკულტურული და ეთიკური გაგება, რომელიც აუცილებელია იდეების, კომერციისა და კულტურის გლობალურ ბაზარზე მონაწილეობისთვის, ლიდერობისა და კეთილდღეობისთვის.

პროგრამა ახალია და ამდენად, ამჟამად არ ჰყავს სტუდენტები; თუმცა, დაწესებულებაში ვირტუალური ვიზიტის დროს მთავარ მონაწილეებთან დისკუსიებში გამოჩნდა, რომ მიმდინარეობს პროცესები პროგრამის უწყვეტი შეფასებისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი შესაბამისობა მუდმივად განვითარებად და ცვალებად ინდუსტრიაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ერთობლივი საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობის პროექტი: ერთობლივი საბაკალავრო ხარისხის მოპოვება
- კავკასიის ტურიზმის სკოლის პროგრამის აღწერა
- კავკასიის უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://www.cu.edu.ge/en/about-us/about-the-university/mission-cu>
- ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://www.fdu.edu/about/history-mission/>

დისკუსია პროგრამის ხელმძღვანელებთან დაწესებულებაში ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგები (PLOs) შემუშავდა იმისათვის, რომ შეესაბამებოდეს ინდუსტრიის კომპეტენციებს, პასუხობდეს ტურიზმისა და ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებს როგორც აშშ-ში, ასევე საქართველოში.

პროგრამას აქვს სწავლის რვა შედეგი. ისინი განსაზღვრავს იმ ძირითად ცოდნას, უნარებს და შესაძლებლობებს, რომლებიც სტუდენტებს ექნებათ სწავლის დამთავრების შემდეგ:

1. ტურიზმისა და მასპინძლობის მართვის ძირითადი თეორიებისა და ცნებების აღწერა
2. ტურისტული ადგილებისა და მათი მახასიათებლების, ტურისტული რეგიონების მიმოხილვა
3. აღიარებული მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენება ტურისტული ბიზნეს საქმიანობის განსახორციელებლად, მათ შორის მარკეტინგული გეგმის მომზადება და მისი განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესის ორგანიზება
4. ტურიზმის სექტორში კვლევითი პროექტებისა და ბიზნეს გეგმების წარმოება
5. ტურისტული ეკონომიკისა და პოლიტიკის საკითხების გაანალიზება, ტურიზმის ინდუსტრიაზე მოქმედი ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორების ჩათვლით
6. ახალი ტურისტული პროდუქტების დაგეგმვა და ტურების მოწყობა
7. მასპინძლობის ინდუსტრიის ოპერატიული პროგრამების განხორციელება, მასპინძლობის ბიზნესის მახასიათებლებისა და ბაზრის არსებული მდგომარეობის შეფასება
8. პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ტურიზმის ეთიკური ნორმების დაცვა

ერთობლივი პროგრამის სწავლის შედეგები (PLOs) ნათლად არის გაწერილი გაზომვადი ტაქსონომიით, რაც შესაძლებელს გახდის ობიექტურ, განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას მთელი პროგრამის განმავლობაში. პროგრამა ახალია და არ არსებობს საშუალება

აღნიშნული სწავლის შედეგების წარმატების შესაფასებლად. თუმცა, მოწოდებული იქნა დოკუმენტაცია, რომელიც ასახავს შეფასების გეგმას თითოეული სწავლის შედეგის შეფასების ინდიკატორების მიმოხილვის შესახებ, მასთან ასოცირებული რუბრიკის სკალას (შეფასების დონეებს), სასწავლო გეგმის რუკას, სამიზნე ინდექსებს და შეფასების ციკლს ან განრიგს. ის ასევე მოიცავდა პროგრამის სწავლის შედეგების დაკავშირებას პროგრამის მიზნებთან. თვითშეფასების ანგარიშის, სტუდენტებისა და პროგრამის უზრუნველყოფაში ჩართულ პირებთან კონსულტაციების მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგები პერიოდულად იგეგმება შედეგების ადეკვატურობისთვის და მიღწევადობისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- კავკასიის ტურიზმის სკოლის პროგრამის აღწერა
- კორელაცია პროგრამის სწავლის შედეგებსა და საგანმანათლებლო კურსებს შორის და მათი მიღწევის დონის შეფასების ანგარიში

დისკუსია პროგრამის ხელმძღვანელებთან დაწესებულებაში ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ინშული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ერთობლივ საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების პროცედურა შეესაბამება არსებულ კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის დებულებებს და მკაფიოდ არის განსაზღვრული ორ უნივერსიტეტს შორის დადებულ ხელშეკრულებაში. სასწავლო პროგრამისა და თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, ქართველმა სტუდენტებმა უნდა ჩააბარონ საქართველოს ეროვნული გამოცდები. ამის შესაბამისად, კავკასიის უნივერსიტეტმა დაადგინა დამატებითი ფილტრები პროგრამაზე მისაღებად: ქართული ენა, ლიტერატურა და ინგლისური, როგორც უცხო ენა. პროგრამაზე დაშვება ითვალისწინებს გამოცდების ჩაბარებას ორ ძირითად საგანში: მათემატიკასა და ისტორიაში, როგორც მესამე სავალდებულო საგანში. როდესაც ჩარიცხული სტუდენტები განაგრძობენ სწავლას ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტში, ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ ინგლისური ენის საჭირო დონეს (6.0 IELTS, 70 TOEFL ან ეკვივალენტი). სტუდენტები ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტში დაიშვებიან პირველი კურსიდან და სწავლას გაივლიან უნივერსიტეტის მოთხოვნებისა (ენობრივი კომპეტენციის) და რეგულაციების შესაბამისად. პროგრამაში ჩარიცხვა შეიძლება განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ქართული უნივერსიტეტიდან კავკასიის უნივერსიტეტში კრედიტების ტრანსფერით (მობილობით). ინფორმაცია დაშვების წინაპირობების შესახებ საჯარო და გამჭვირვალეა, ის ხელმისაწვდომია ფაკულტეტის ვებგვერდზე. <https://www.cu.edu.ge/en/programs/bachelor-cu>. დასასრულს, პროგრამებში ჩარიცხვასთან დაკავშირებული ყველა ორგანიზაციული საკითხი სინქრონიზებული იქნება ორივე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მათი ქვეყნის რეგულაციების საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- მასპინძლობის მენეჯმენტის ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის მენეჯერებთან და ხელმძღვანელებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგები;

ვებგვერდი <https://www.cu.edu.ge/en/programs/bachelor-cu>

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა კავკასიის უნივერსიტეტსა და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტს შორის შემუშავებულია კავკასიის უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედეგის, განხორციელებისა და შემუშავების დებულების მიხედვით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის დონეს (საბაკალავრო სწავლებას). პროგრამა სტრუქტურირებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად, რომელიც მოიცავს მინიმუმ 200 ECTS-ს. პროგრამა მოიცავს შემდეგ სავალდებულო საუნივერსიტეტო კურსებს:

- 55 ECTS კრედიტი: 20 ECTS ეთმობა უცხო ენის მოდულს (3 ენის სწავლება),
- დარგის სავალდებულო კურსები - 140 ECTS კრედიტი,
- დარგის არჩევითი კურსი - 5 ECTS კრედიტი, რომელიც სტუდენტმა უნდა აირჩიოს პროგრამით შემოთავაზებული 15 ECTS კრედიტიდან;

პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა სამი წელია (200 ECTS). ერთობლივი პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებულებს მიენიჭებათ კავკასიის უნივერსიტეტისა და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის ერთობლივი აკადემიური ხარისხი. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გაიარონ ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა კავკასიის უნივერსიტეტსა და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტში, რაც მოიცავს 50 ECTS კრედიტს FDU-ს მიერ შემოთავაზებული კურსებიდან და 150 ECTS კრედიტს - CU-ს მიერ შემოთავაზებული კურსებიდან. პროგრამის სტრუქტურის მიხედვით, სტუდენტებმა უნდა დაასრულონ პირველი ხუთი სემესტრი კავკასიის უნივერსიტეტში. ამ სასწავლო პერიოდში ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულია 25 ECTS კრედიტი. დასკვნითი სემესტრის განმავლობაში სტუდენტები მიიღებენ დამატებით 25 ECTS-ს ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული კურსების მეშვეობით.

ძირითად სასწავლო სფეროში არის 140 ECTS კრედიტი, რომლებსაც მოიცავს ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიასთან და, ზოგადი ბიზნესის ადმინისტრირების სწავლებასთან დაკავშირებული კურსები. პროგრამა მოიცავს თეორიული ცოდნის (ტურიზმის შესავალი, ტურისტული მიმართულებების გეოგრაფია, მარკეტინგის საფუძვლები, ბიზნეს კომუნიკაცია და ა.შ.) და კვლევისა და ანალიზისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებულ კურსებს (ტურიზმის სტატისტიკა, ტურიზმის ეკონომიკა, კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები).

აღსანიშნავია, რომ პროგრამის სტრუქტურაში სასწავლო კომპონენტის უდიდესი ნაწილი ითვალისწინებს დაშვების წინაპირობებს. ექსპერტთა ჯგუფის დაკვირვებით, კონკრეტულ შემთხვევებში პროგრამაში ლოგიკურად უნდა იყოს განსაზღვრული წინაპირობები. მაგალითად, ტურიზმის მენეჯმენტის შესავალი წინაპირობად განიხილავს მენეჯმენტის საფუძვლებს, თუმცა; ორივე კურსი შემოთავაზებულია ერთსა და იმავე სემესტრის განმავლობაში. გარდა ამისა, ტურიზმის მარკეტინგისა და საერთაშორისო ბაზრების კურსში, წინაპირობაა ტურიზმის მენეჯმენტის შესავალი კურსი, რომელიც შემოთავაზებულია იმავე წესით.

გარდა ამისა, სასწავლო პროგრამა მეორე კურსის პირველ სემესტრში შეიცავს შემდეგ კურსებს: 1) კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები, 2) განთავსების ოპერაციები და შემოსავლების მართვა, და 3) ფინანსური აღრიცხვა - ყველა მათგანი რაოდენობრივად და ანალიტიკურად ორიენტირებულია. ვინაიდან ეს კურსები კომპლექსური და რთულია სტუდენტებისთვის, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს კურსების თანმიმდევრობის გადახედვას და სასწავლო პროგრამაში უფრო მოწესრიგებულად განაწილებას.

ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს აირჩიონ არჩევითი კომპონენტები 5 ECTS კრედიტის ფარგლებში: 1) სატრანსპორტო ინდუსტრია ტურიზმში, ელექტრონული ტურიზმი და საზოგადოებასთან ურთიერთობა ტურიზმში. არჩევითი კურსების შერჩევისას სტუდენტებისთვის მოქნილობის უზრუნველყოფა ხელს შეუწყობს სტუდენტების სპეციფიკური უნარების განვითარებას პრაქტიკული და თეორიული პერსპექტივიდან, რაც თავის მხრივ გააძლიერებს სტუდენტების კონკურენტუნარიანობას შრომის ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებზე.

გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან (მაგ.: აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და ა.შ.), რათა დაედგინა რა დონის წვლილი შეაქვთ ერთობლივი პროგრამის შემუშავებაში. მიუხედავად იმისა, რომ დაინტერესებულ

მხარეთა უმეტესობას ჰქონდა გარკვეული შენიშვნები, დამსაქმებლებმა განაცხადეს, რომ არასაკმარისი მონაწილეობა იყო კურიკულუმის შინაარსის შემუშავებაში პროგრამის მომზადების დროს, კერძოდ, პრაქტიკული/სავარჯიშო საათების განსაზღვრაში.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- მასპინძლობის მენეჯმენტის ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა
- პროგრამის დირექტორებთან და ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგები.
- კურსის სილაბუსები
- გასაუბრების შედეგები
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების დებულება

რეკომენდაციები:

- განახლდეს სასწავლო პროგრამაში კონკრეტული კურსების (როგორცაა შესავალი ტურიზმის მენეჯმენტში, ტურიზმის მარკეტინგი და საერთაშორისო ბაზრები) წინაპირობები;
- ამ კურსების (კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები, განთავსების ოპერაციები და შემოსავლების მენეჯმენტი, ფინანსური აღრიცხვა) სირთულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს კურსების თანმიმდევრობის გადახედვას და სასწავლო პროგრამაში უფრო მოწესრიგებულად განაწილებას.
- სადაც ეს შესაძლებელია, რეკომენდებულია ხელახალი შეფასება იმ კურსების გამარტივებისთვის ან გაერთიანებისთვის, რომლებშიც მნიშვნელოვანი შინაარსის გადაფარვებია, მაგალითად, კურსებში - შესავალი ტურიზმში და შესავალი ტურიზმის მენეჯმენტში. სასწავლო გეგმაში, ტურიზმის ძირითად სფეროში ECTS კრედიტების რაოდენობის შემცირებით, პროგრამაში შეიძლება დაემატოს ტურიზმის მეტი არჩევითი კურსი, რომლებიც ფოკუსირებული იქნება ინდუსტრიის ისეთ სფეროებზე, როგორცაა აგროტურიზმი ან სპორტული ტურიზმი. სტუდენტებისთვის მეტი ვარიანტების ქონა ხელს შეუწყობს მათი უნარების განვითარებას პრაქტიკული და თეორიული პერსპექტივიდან, რაც თავის მხრივ აძლიერებს სტუდენტების კონკურენტუნარიანობას შრომის ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებზე.
- საჭიროა დამსაქმებლების მეტი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის ხელმძღვანელები უფრო ხშირად უნდა ხვდებოდნენ ინდუსტრიის წარმომადგენლებს როგორც აშშ-ში, ასევე საქართველოში, რათა მიიღონ უკუკავშირი სტუდენტებისთვის შესაფერისი სტაჟირების ტიპებზე. ეს სტაჟირება სტუდენტებს ხელს შეუწყობს კლასში ნასწავლი თეორიის გამოყენებაში და ერთობლივი ხარისხისთვის საჭირო პრაქტიკული საათების რაოდენობის განსაზღვრაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში თითოეული კურსისთვის არსებობს ძალიან დეტალური საგნის აღმწერი. ეს სისტემატიზებულია კურსის სილაბუსებში. კურსის თითოეული სილაბუსი მოიცავს ინფორმაციას კურსის მიზნების, სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგების შესახებ. გარდა ამისა, ამას მოყვება ყოველკვირეული შინაარსის დეტალური აღწერა, შესაბამისი ლიტერატურა, ინდივიდუალური სამუშაოები, სამუშაოს თითოეული კომპონენტის შეფასების მეთოდები, ასევე მკაფიო კრიტერიუმები, რომლებიც აკავშირებს სტუდენტების მიღწევებს ქულებთან. პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს 47 სავალდებულო და სამ არჩევით დისციპლინას. ყველა სავალდებულო კურსი ნაწილდება ექვს სემესტრზე და მოიცავს ტურიზმთან და, ზოგად ბიზნესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ შინაარსს. „სწავლის შედეგების პროგრამის რუკა“ ასახავს, თუ რომელი კურსი ან პროგრამის კომპონენტი გაიყვანს სტუდენტს თითოეულ სწავლის შედეგზე. ზოგადად, კურსის სწავლის შედეგები (CLO) ნათლად არის ჩამოყალიბებული და მხარს უჭერს პროგრამის სწავლის შედეგებს.

პროგრამის სავალდებულო საგნების ცხრილი მოიცავს პრაქტიკულ კურსს, „პრაქტიკა სასტუმროში“. სილაბუსის მიხედვით, კურსის აღწერაში მითითებულია: „მიზნად ისახავს სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნის ეფექტურად გამოყენებას ინდუსტრიაში, კვლევასა და პრაქტიკაში. ტრენინგის პრაქტიკა ხელს შეუწყობს დარგის კომპეტენციის გაძლიერებას და მასპინძლობის სპეციალისტების დარგობრივი უნარების განვითარებას“.

იმის გამო, რომ პროგრამას აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ტურიზმის ბაკალავრის ხარისხში, აუცილებელია სტუდენტებს მიეცეს უფრო ფართო შესაძლებლობა, გაამდიდრონ თავიანთი უნარები სხვადასხვა ორგანიზაციაში. პროგრამის აღწერაში მითითებულია სამუშაო ადგილების ტიპები, რომლებიც კურსდამთავრებულებმა შეიძლება მოიძიონ სწავლის დამთავრების შემდეგ, ესენია: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციები, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, რეგიონული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ტურისტული საინფორმაციო ცენტრები, ტურისტული მიმართულებების მართვის ორგანიზაციები, სატრანსპორტო კომპანიები, განთავსების ორგანიზაციები, ტურისტული კომპანიები, რესტორნები და კვების ადგილები, დასვენებისა და ღონისძიების მოწყობის სფეროები, ტურიზმის ინდუსტრიაში არსებული ასოციაციები, ტურიზმის საინფორმაციო ტექნოლოგიების/ინტერნეტ სააგენტოები და საგანმანათლებლო დაწესებულებები ტურიზმში.

ტურიზმის სექტორში პრაქტიკული და გამოყენებითი უნარების აუცილებლობის გათვალისწინებით, პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ამ მიმართულებით ECTS კრედიტების გაზრდილი რაოდენობით. დაბოლოს, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია პრაქტიკული კომპონენტის კურს(ებ)ის სახელწოდების ხელახალი ჩამოყალიბება. ამჟამად, მიმდინარე კურსის სახელწოდება „პრაქტიკა სასტუმროში“ ვიწროა და, როგორც ჩანს, მიუთითებს, რომ სტუდენტებს შეუძლიათ ან უნდა მიიღონ გამოცდილება მხოლოდ განთავსების სექტორში და არა ფართო ტურისტულ ინდუსტრიაში. ეს მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ ხარისხი არის ტურიზმის ბაკალავრი.

სილაბუსებში ჩამოთვლილი სავალდებულო ლიტერატურა, ზოგიერთ შემთხვევაში, მოძველებულია (მაგალითად, მენეჯმენტი, მე-11 გამოცემა, სტივენ პ. რობინსი და მერი კულტერი, 2010; ბერნარ დევისი, ენდრიუ ლოკვუდი, პიტერ ალკოტი, იოანის პანტელიდისი, საკვებისა და სასმელის მენეჯმენტი, მე-4 გამოცემა, 2008 წ. 426 გვ.; . ჰეიესი, ჯ. ნაინმეიერი, ა. მილერი, განთავსების მართვის საფუძვლები, მეორე გამოცემა, 2012 წ. და სხვ.).

სასწავლო პროგრამაში ორი კონკრეტული კურსი (აკადემიური წერა 1, აკადემიური წერა 2) ეხება სტუდენტების არგუმენტირებული კრიტიკული და შეფასების უნარების განვითარებას, სამეცნიერო მოხსენებების ორგანიზებას, ლოგიკური საუბრისა და წერის სტილებს, პრეზენტაციის უნარს და ა.შ. რეკომენდებულია, აღნიშნული კურსების ECTS კრედიტების რაოდენობის შემცირება და ტურიზმთან დაკავშირებული მეტი კურსის/პრაქტიკული კომპონენტის დაშვება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

<ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში ○ მასპინძლობის მენეჯმენტის ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა ○ პროგრამის მენეჯერებთან და ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგები ○ კურსის სილაბუსები ○ გასაუბრების შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • სავალდებულო კომპონენტი, პრაქტიკა სასტუმროში, უნდა განახლდეს, რათა მოიცავდეს ტურიზმის სექტორის ორგანიზაციების ფართო სპექტრს. ეს უნდა მოიცავდეს როგორც კურსის სათაურის ცვლილებას, ასევე ECTS კრედიტების ზრდას. • განაახლეთ პროგრამის სავალდებულო ლიტერატურა და უზრუნველყოფი იქნეს, რომ გამოყენებული იქნება წიგნების ახალი გამოცემები და ინფორმაცია, რათა სტუდენტებმა მიიღონ უახლესი მასალები და ეფექტურად მიაღწიონ პროგრამის სწავლის შედეგებს.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • მიზანშეწონილია შემცირდეს ECTS კრედიტების რაოდენობა კურსებში „აკადემიური წერა 1“ და „აკადემიური წერა 2“, რათა ადგილი დარჩეს ტურიზმთან დაკავშირებული დამატებითი კურსებისთვის ან პრაქტიკული კომპონენტებისთვის.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტისა და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია ბაკალავრიატის სტუდენტის პრაქტიკული/თეორიული და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში გამოყენებულია აქტივობები, რომლებიც სტუდენტებს ეხმარება აღნიშნული უნარების განვითარებაში. კერძოდ, სავალდებულო კურსების უმრავლესობა მოიცავს პრეზენტაციის კომპონენტებს, პრაქტიკულ შემთხვევებზე სწავლებას, სიმულაციას, მოდელირებას, პროექტზე დაფუძნებულ ჯგუფურ აქტივობებს, კვლევას და ა.შ. ეს ყველაფერი ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

სასწავლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტი „პრაქტიკა სასტუმროში“ (5 ECTS კრედიტი) სტუდენტებს აძლევს სხვადასხვა კურსის ფარგლებში შეძენილი თეორიული ცოდნის რეალიზაციის ფართო შესაძლებლობას. როგორც ზემოთ აღინიშნა სტანდარტში 2.3, ტურიზმის ინდუსტრიის სხვადასხვა ორგანიზაციასთან ძლიერი კავშირების დამყარება დაეხმარება სტუდენტებს თეორიის პრაქტიკასთან დაკავშირებაში.

სამეცნიერო/კვლევითი შესაძლებლობების განვითარება იწყება ისეთი კურსებით, როგორცაა აკადემიური წერა 1 და 2, და გრძელდება ტურიზმის სტატისტიკით და კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- მასპინძლობის მენეჯმენტის ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა
- პროგრამის მენეჯერებთან და ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგები
- კურსის სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გაგრძელდეს და გაძლიერდეს ძალისხმევა ინდუსტრიის წარმომადგენლებთან და ტურიზმთან დაკავშირებულ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კავშირის განვითარებისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა იყენებს პროგრამის პროფილთან შესაბამის მეთოდებს: დისკუსიები/დებატები, გუნდური (თანამშრომლობითი) მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), გონებრივი იერიში, როლური თამაში, თანამშრომლობითი სწავლება, დემონსტრირების მეთოდი, ელექტრონული სწავლება და ა.შ. კურსის სილაბუსებში სწავლების ყველა მეთოდი შეესაბამება კურსის შინაარსსა და მიზნებს, რაც სტუდენტებს ეხმარება კურსის სწავლის შედეგების მიღწევაში.

ზოგადად, მეთოდები არჩეულია დონის, კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით. პრიორიტეტი ენიჭება თეორიული მომზადების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას და კვლევაზე დაფუძნებული აქტივობების ინტენსიურ განვითარებას, რომლებიც ჩართულია კონკრეტულ კურსებში. მთელი სასწავლო პროცესი ძალიან კარგად კონტროლდება, რადგან სილაბუსებში დეტალურად არის აღწერილი კონკრეტული დავალებები, ჯგუფური სამუშაო, პრაქტიკა და სხვ. მთლიანობაში, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება არეგულირებს და უზრუნველყოფს სწავლებისა და სწავლის მეთოდების მონიტორინგის პროცესს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

<ul style="list-style-type: none"> • თვითშეფასების ანგარიში • მასპინძლობის მენეჯმენტის ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა • პროგრამის მენეჯერებთან და ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგები • კურსის სილაბუსები • ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და მათი ეფექტურობის შეფასება
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სტუდენტის შეფასება მრავალგანზომილებიანია და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რომელიც მიღწეულია კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებითა და რუბრიკებით. მეთოდოლოგია ეყრდნობა შემდეგ ოთხ პრინციპს: 1)</p>

ობიექტურობა, 2) სანდოობა, 3) მართებულობა და 4) გამჭვირვალობა.

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება გამჭვირვალედ, პროგრამისა და სილაბუსების მოთხოვნების დაცვით და წერილობითი ფორმით. კერძოდ, პროგრამაც და სილაბუსებიც აღწერს შეფასების ინდივიდუალურ კრიტერიუმებს სწავლების მეთოდოლოგიის მიხედვით. თითოეული სასწავლო კომპონენტისთვის შეფასება ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, დავალებაზე ორიენტირებულ მკაფიო კრიტერიუმებს და მათ საფუძველზე შედგენილ სასწავლო რუბრიკებს.

სტუდენტები წინასწარ იღებენ ინფორმაციას წერილობითი და ზეპირი (პრეზენტაციები, კლასში მონაწილეობა, პროექტი, ჯგუფური მუშაობა, წერიტი ტესტი და ა.შ.) გამოკითხვის მინიმალური რაოდენობის, მათი შეფასების კრიტერიუმებისა და სიხშირის თაობაზე. ასევე აღწერილია შუალედური და დასკვნითი გამოცდების შესაბამისი ქულების დაგროვების წინაპირობები.

სემესტრის დასაწყისში სტუდენტები იღებენ ინფორმაციას ყოველი ცალკეული ტესტირებისა თუ შეფასების კრიტერიუმებისა და მოცულობის შესახებ. CU და FDU იყენებენ კურსების მართვის ელექტრონულ სისტემებს (Moodle, Blackboard), რომლებიც ფაკულტეტსა და მასწავლებლებს საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიაწოდონ სილაბუსები და სასწავლო მასალები, დაავალონ აქტივობები, შეიყვანონ ქულები, უკუკავშირი და სხვა საჭირო ინფორმაცია ელექტრონულ ფორმატში. გარდა ამისა, ელექტრონული პორტალები (My CU, WebAdvisor) სტუდენტებს ეხმარება აკონტროლონ თავიანთი მიმდინარე საქმიანობა და მიაწოდონ დროული უკუკავშირი მიღწეულ შედეგებზე. სტუდენტებს შეუძლიათ გაასაჩივრონ თავიანთი შეფასებები, რაზეც სკოლა შესაბამისად რეაგირებს.

